



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA000041562037118

№ 1218/ს

20 / აპრილი / 2018 წ.

მერის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და ამავე კანონის 57-ე მუხლის მეხამე პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გადანაწილდეს ფუნქციები მერის პირველ მოადგილესა და მოადგილეს (შემდგომში -მოადგილეებს) შორის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისათვის მიკუთვნებული დარგების შესაბამისად, დანართის მიხედვით.

2. დაევალოთ მერის მოადგილეებს, ფუნქციათა განაწილების შესაბამისად, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიკუთვნებული დარგების ხელმძღვანელობა, საკითხის განხილვა და კონტროლი მის დროულ და ჯეროვან შესრულებაზე.

3. დაევალოთ მერის მოადგილეებს, ყოველთვიურად მერს მოახსენონ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

4. ბრძანების მოქმედების ვადა განისაზღვროს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილების ვადით.

5. კონტროლი ბრძანების საორგანიზაციო ნაწილის შესრულებაზე დაევალოს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს.

6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

7. ბრძანება ძალაში შედის ხელოწერისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი

ჯონდო მდივნიშვილი

